ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 5

ქ. თბილისი **20.02.2017**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა აბულაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო“ (MCA - Georgia) „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების“ პროექტის მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი;

არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის“ აკადემიური დირექტორი;

მარინა უშვერიძე - PH-International - საქართველოს ოფისი, სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის #126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;

თამარ კაპანაძე- სსიპ - თბილისი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;

გიორგი გახელაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მ/შ);

თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1.შპს ლედა:
თამილა თალაკვაძე-დირექტორის მოადგილე;
ნათია აფხაზავა- იურისტი.

2. ა(ა)იპ სასწავლო-აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი "ეტალონი":
თამარ ქარჩავა-დირექტორი.

3. შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა:

მარინე ტალახაძე- დირექტორის მოადგილე;
ნინო ტავლალაშვილი - იურისტი.

4. შპს ჩირაღდანი:

თინათინ ქობალია- სკოლის დირექტორი (მ/შ).

5.ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლა:

მამუკა თედიაშვილი-სკოლის დირექტორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

- ლელა ფიცხელაური;
- ლეილა გველესიანი;
- ნოდარ ანგურიძე;
- ნანა მონიავა;
- ლევან ღურწკაია;
- ვერა ყურულაშვილი;
- ნელი ნასყიდაშვილი;
- თინათინ ჩხაიძე.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 14:15 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. შპს ლედას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. ა(ა)იპ სასწავლო-აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი "ეტალონის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. შპს ჩირაღდანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს ლედას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტებმა ლელა ფიცხელაურმა და ლეილა გველესიანმა საბჭოს წარუდგინეს საექსპერტო ჯგუფის დასკვნა და შენიშვნები.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 ექსპერტმა ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ პროგრამულ ნაწილში არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი ხარვეზი. სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილული და დამტკიცებული იყო პედაგოგიური საბჭოს მიერ.

1.2 ექპერტის განმარტებით, სკოლაში ისწავლებოდა შემდეგი სავალდებულო საგნები: რუსული ენა (III-IVკლასი), ჭადრაკი (I-IV კლასი), სკოლაში ასევე ისწავლებოდა შემდეგი არჩევითი საგნები; მსოფლიო ლიტერატურა (I-IX კლასი), ფრანგული და გერმანული ენები(V-IX კლასი). ფაკულტატური სააღმზრდელო მომსახურების სახით მოსწავლეები სარგებლობდნენ გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მომსახურებით, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ კლასის კოორდინატორები.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში ფუნქციონირებდა 4 საგნობრივი კათედრა: ისტორიისა და ქართული ენის კათედრა, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების კათედრა, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა და უცხოური ენების კათედრა. საგნობრივი კათედრები აანალიზებდნენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს და შეიმუშავებდნენ ცალკეული მოსწავლის საჭიროებებზე რეაგირების ფორმებს.

1.4 სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, თითოეულ კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრებოდა 16 მოსწავლით, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელების საშუალებას იძლეოდა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 ექსპერტთა განმარტებით, სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, აღმაშენებლის ქუჩა N13-ში, დაწესებულებას გაფორმებული ქონდა იჯარის ხელშეკრულება.

2.2 დაწესებულებას ქონდა 11 საკლასო ოთახი, სკოლას ასევე აქვს ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, ექთნის ოთახი, დირექტორის კაბინეტი, კომპიუტერული ოთახი და სამასწავლებლო.

სკოლა შენობის მესაკუთრესთან შეთანხმებით სარგებლობდა საკონფერენციო და სააქტო დარბაზებით, რომელიც მდებარეობს სკოლის შენობის მე-2 და მე-5 სართულებზე.

2.3 შესაბამისი დოკუმენტაციით დასტურდებოდა, რომ სკოლა აღჭურვილი იყო 200 ერთადგილიანი მერხითა და სკამით. გარდა ამისა, საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფებით, რუკებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით. სკოლას ჰქონდა ასევე მუსიკალური ინვენტარი - პიანინო, აუდიო-ვიდეო რესურსი და ა.შ.

2.4 სკოლას შერჩეული ჰქონდა შემდეგი სპორტული აქტივობები: ჭადრაკი, ფიგურული სრიალი, აღმოსავლური ორთაბრძოლები და სპორტული ცეკვები.

2.5 სკოლას ჰქონდა დახურული სპორტული დარბაზი (48,60 კვ.მ.), სკოლას შეძენილი ჰქონდა 15 ინდივიდუალური და 2 საპრეზენტაციო დაფა, ფიზიკური აღზრდის საათებისთვის სკოლა სარგებლობდა სპორტული მოედნით, რომელიც მდებარეობდა სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე. მოსწავლეთა მიყვანა სპორტულ მოედნამდე და უკან ხორციელდებოდა პედაგოგის ზედამხედველობით. სტადიონის სარგებლობაზე სკოლამ წარმოადგინა ბათუმის მერიის თანხმობის წერილი (№25/1680). რაც შეეხება ფიგურულ სრიალს, სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ყინულის სასახლესთან.

2.6 ვიზიტის დროს გაწეული რეკომენდაციის შესაბამისად, სკოლამ მოახდინა ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა და სამეთვალყურეო კამერების დამატება.

2.7 სკოლაში შექმნილი იყო საგანგებო სიტუაციების შტაბი და ყოველ სემესტრში ეწყობოდა სიმულაციები თავდაცვითი მიმართულებით.

3. ადამიანური რესურსითან მიმართებით

ექსპერტ ლელა ფიცხელაურის განმარტებით, ვიზიტის დროს დადგინა, რომ სკოლის 7 პედაგოგი არ იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული 7 პედაგოგიდან 3 უკვე ჩართული იყო სქემაში, ხოლო 4 აღარ მუშაობდა დაწესებულებაში. ეს გამოწვეული იყო იანვარში მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის გაუქმებით.

საბჭოს წევრმა მარინა უშვერიძემ გამოთქვა მოსაზრება დაწესებულების მისიასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მისია მოითხოვდა კორექტირებას. იგი ასევე დაინტერესდა, თუ რა დაწესებულებები იყო განთავსებული შენობის სხვა სართულებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა განთავსებული იყო მესამე სართულზე, ხოლო სხვა სართულებზე განთავსებული იყო სკოლა პროგრესი და კიევის უნივერსიტეტის ფილიალი.

საბჭოს თავმჯდომარე ირინა აბულაძე დაინტერესდა, თუ როგორ კონტროლდებოდა შენობაში მოსწავლეთა გადაადგილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველ სართულზე იყო სპეციალური დაცვა, ხოლო სართულზე სკოლის შემოსასვლელს კი აკონტროლებდა სპეციალურად გამოყოფილი პირი.

მარინა უშვერიძე დაინტერესდა სკოლის სახელწოდებით და ასევე იკითხ,ა თუ რამდენად იყო მზად სკოლის ადამიანური და მატერიალური რესურსი საფეხურის დამატებისათვის.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების ოფიციალური სახელწოდება იყო ,,ლედა" , ხოლო დასახელებად ასევე იყენებდნენ მონპარნასს. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა მიწის ფართი, სადაც მოხდებოდა სკოლის გაფართოება. თუმცა, მისი თქმით, ამ ეტაპისათვის არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსი საკმარისი იყო საფეხურის დასამატებლად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 200 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

დისკუსიის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლედასთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ლედას (ს/კ:245391696) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

2. ა(ა)იპ სასწავლო-აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი "ეტალონის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ნოდარ ანგურიძემ და ნანა მონიავამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტისათვის.

1.მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტ ნოდარ ანგურიძის ინფორმაციით სკოლა ეტალონი მდებარეობდა ქ. ზუგდიდში, ლევან მეორე დადიანის ქუჩა N23 მდებარე შენობაში. შენობის საერთო ფართი შეადგენდა 457,1 კვ.მ.-ს, რომელიც განთავსებული იყო 898 კვ.მ. ფართის მქონე მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული ფართი სკოლას იჯარის ხელშეკრულებით ჰქონდა აღებული ფიზიკურ პირ ლევან დადიანისგან (პ/ნ 19001011831). ხელშეკრულება მოქმედებდა 2022 წლის 7 აგვისტომდე.

სკოლაში იყო 7 საკლასო ოთახი, სადაც განთავსებული იყო ინდივიდუალური მერხები, დაფები, მასწავლებლის მაგიდა და სკამები, ასევე, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა (592 წიგნი). სკოლას ჰქონდა ადაპტირებული გარემო, თუმცა ამჟამად სსსმ მოსწავლე არ ყავდათ.

სკოლა ფუნქციონირებდა 2006 წლიდან, ხოლო აღნიშნულ მისამართზე ფიქსირდებოდა ბოლო 7 წლის განმავლობაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის დამფუძნებლის გარდაცვალების გამო მოსაწესრიგებელი იყო საკუთრების შესახებ დოკუმენტაცია, თუმცა დაწესებულებას მეწარმეთა და არასამეწარმეო პირთა რეესტრში დაწესებულებას შეტანილი ჰქონდა განცხადება, რომლის საფუძველზეც კანონით დადგენილ ვადაში მოხდებოდა ცვლილება.

2. საგანმანალებლო პროგრამებთან მიმართებით აღინიშნა, სკოლა ეტალონი ახორციელებდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. არსებობდა შესაბამისი პროგრამები და საათობრივი ბადე, მოქმედებდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სადამრიგებლო საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ირინა აბულაძე დაინტერესდა, თუ რა ფორმით და შინაარსით ხორციელდებოდა სადამრიგებლო საათი.
ექსპერტებმა და სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სადამრიგებლო საათზე მოსწავლეები იყოფოდნენ სხვადასხვა ჯგუფებად. მაგ: ,,წიგნის მოყვარულები", ,,ხელმარჯვე ოსტატები", ,,ხელოვნების მოყვარულნი", ,,ბუნების ქომაგნი" და აღნიშნეს, რომ ამ ტიპის

სამუშაოები ხელს უწყობდა მოსწავლეებში ინტელექტუალური, შემოქმედებითი და პრაქტიკული შესაძლებლობების განვითარებას.
პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია განეახლებინათ შეფასების სისტემა, რადგან წარმოდგენილი მოდელი იყო ძველი და ვეღარ პასუხობდა ეროვნული სასწავლო გემის თანამედროვე მოთხოვნებს. სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაცია და ექსპერტთა ვიზიტის დროსვე პედაგოგიური საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე მოხდა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება, რაც დასტურდება პედსაბჭოს ოქმითა და დირექტორის ბრძანებით შეფასების წესში ცვლილების განხორციელების შესახებ.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ სკოლას ყავდა 13 პედაგოგი და ყველას ქონდა განსაზღვრული სტატუსი. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, პედაგოგთა დასაქმება ხდებოდა პირადი განცხადების საფუძველზე, ხოლო მათი მიღების საკითხს წყვეტდა სკოლის დირექტორი. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაეთვალისწინებინა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მოთხოვნები და პედაგოგთა შერჩევა და მათი სკოლაში მიღება განეხორციელებინა კონკურსის წესით.

ექსპერტის განცხადებით სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული იყო წახალისების და დისციპლინური გადაცდომების სახეები, თუმცა მასში არ იყო განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა დისციპლინური წარმოების განხორციელებაზე. ასევე, არ იყო განსაზღვრული დისციპლინურ სახდელთა სახეები.

საბჭოს წევრი მარინა უშვერიძე დაინტერესდა აღნიშნული საკითხით და სკოლის წარმომადგენლებს სთხოვა დამატებითი განმარტებები დისციპლინარული სახდელებსა და დარღვევებზე რეაგირებისა და სახდელების თაობაზე.

სკოლის წარმომადგენელის განმარტებით, სკოლის შინაგანაწესი დისციპლინურ სახდელებთან დაკავშირებით, რეალურად ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ჯერ-ჯერობით რაიმე დისციპლინური გადაცდომას ადგილი არ ჰქონია და ცხადია არც რაიმე სახის სახდელი ყოფილა გამოყენებული.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშივე გაუქმდა სკოლის დისციპლინური კომიტეტი, ხოლო დისციპლინურ სახდელებზე და გადაცდომებზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრა სკოლის დირექტორი.

ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ვინაიდან სკოლა მცირე კონტინგენტიანი იყო, 3 მასწავლებელს შეთავსებული ჰქონდა ადმინისტრაციული თანამდებობა. მათ შორის, ისტორიის მასწავლებელი ასრულებდა ექთნის ფუნქციას, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ექთნის კვალიფიკაციაც.

საბჭოს წევრმა მარინა უშვერიძემ აღნიშნა, რომ მას მიზანშეუწონლად მიაჩნდა ისტორისათვის პედაგოგისათვის ექთნის ფუნქციის შეთავსება. მან სკოლის წარმომადგენელს გაუწია რეკომენდაცია სკოლის ექთნის ცალკე შტატის განსაზღვრის თაობაზე.

საბჭოს წევრი თამარ ფხალაძე დაინტერესდა სპორტული დარბაზით. ექსპერტთა განმარტებით, სპორტული დარბაზი განთავსებული იყო სკოლის შენობის პირველ სართულზე, რომელიც აღჭურვილი იყო შესაბამისი სპორტული ინვენტარით. სპორტული ასპარეზობების ჩატარების მიზნით კი სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი ზუგდიდის ერთ-ერთ სპორტულ დარბაზთან. ექსპერტთა განმარტებით, მათ ვიზიტის პერიოდში მიეცათ საშუალება დასწრებოდნენ სპორტის გაკვეთილს.

საჭოს წევრმა მარინა უშვერიძემ სთხოვა სკოლის წარმომადგენელს გაეკეთებინა განმარტება მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლებისათვის შემუშავებულ ანკეტა-კითხვარების შესახებ.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ხდებოდა ანკეტა-კითხვარების შესწავლა-გაანალიზება და მონაცემების განხილვა პედაგოგიურ საბჭოზე, ასევე ხდებოდა დაფიქსირებული შენიშვნებსა და რეკომენდაციების გათვალისწინება

საბჭოს თავმჯდომარე ირინა აბულაძე დაინტერესდა მოსწავლეთა რაოდენობით და დინამიკთ.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ამჟამად სკოლაში ირიცხებოდა 57 მოსწავლე, თუმცა 2013 წელს ჰყავდათ 87 მოსწავლე და კონტიგენტის შემცირება დაუკავშირა რეგიონში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას.
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 95 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

დისკუსიის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სასწავლო-აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ "ეტალონისთვის" ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 95-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სასწავლო-აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ "ეტალონს" (ს/კ: 220383608) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 95-ით.

3. შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ლევან ღურწკაიამ და ლია გრიგოლიამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტთან მიმართებით.

ექსპერტმა ლევან ღურწკაიამ აღინიშნა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა 1996 წლიდან. იგი მდებარეობდა ქ.ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N49-ში. სკოლა განთავსებული იყო ორ დამოუკიდებელ შენობაში. შენობის მესაკუთრე იყო სსიპ სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, რომელთანაც სკოლას გაფორმებული ჰქონდა თხოვების ხელშეკრულება, მის საფუძველზე კი უვადოდ ჰქონდა გადაცემული შენობა და მიწის ნაკვეთი. სკოლაში იყო სამასწავლებლო, სპორტული დარბაზები, მოედნები, ბიბლიოთეკა 5253 წიგნით, 57 საკლასო ოთახი, სადაც განთავსებული იყო ინდივიდუალური მერხები და სკამები, დაფები, მასწავლებლის მაგიდები.

საბჭოს წევრი მარინა უშვერიძე დაინტერესდა, იყო თუ არა სკოლის შენობაში ადაპტირებული გარემო.
ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ სკოლაში შექმნილი იყო ყველა საჭირო პირობა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის. მათი განმარტებით სკოლას ამჟამად ჰყავდა სსსმ მოსწავლე, რომლის კომფორტული გარემოს შექმნისათვის სკოლის ადმინისტრაციამ სკოლაშივე დაასაქმა მოსწავლის დედა.

საბჭოს წევრმა გიორგი გახელაძემ სკოლის წარმომადგენლებს მიმართა შეკითხვით, თუ რამდენი ფაკულტატური საგანი ჰქონდა დაწესებულებას შერჩეული.

სკოლის წარმომადგენლების განმარტებით არჩევით საგანს წარმოადგენდა ,,საღვთო სჯული". ამავე დროს, სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა კლუბები.

ექსპერტმა ლევან ღურწკაიამ აღნიშნა, რომ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა. მისი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიას ჰქონდა პირდაპირი განათება და კარგად ნიავდებოდა, სკოლის წარმომადგენლებმა საჭიროდ ჩათვალეს დაეყენებინათ გამწოვი და საბჭოს სხდომაზე წარმოადგინეს მისი შეძენა-დამონტაჟების ამსახველი დოკუმენტაცია.

ექსპერტმა ლია გრიგოლიამ ისაუბრა სკოლის ადამიანური რესურსის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მასწავლებლები ჩართულნი იყვნენ მასწავლებლეთა პროფესიული განვითარების სქემაში, ჰქონდათ შესაბამის სეთიფიკატები. 3 პედაგოგი კი, რომელიც არ იყო სქემაში ჩართული, ექსპერტთა რეკომენდაციით გადაყვანილ იქნა დამხმარე მასწავლებლებად, მათ მიერ გამოცდის ჩაბარებამდე.
სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალიწინებით რა რაოდენობით სურდა მოსწავლეთა ადგილების განსაზღვრა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მას არსებული რესურსებით, შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 1500 მოსწავლისთვის.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის (ს/კ: 245445610) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით.

4. შპს ჩირაღდანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა ნოდარ ანგურიძემ და ნანა მონიავამმათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტთან მიმართებით.

ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ შპს „ჩირაღდანი" ფუნქციონირებდა ქალაქ ზუგდიდში, თავისუფლების ქუჩა №53-ში 764,00 კვ.მ. ფართის მქონე მიწის ნაკვეთზე მდებარე სამსართულიან შენობაში. შენობა კერძო პირის საკუთრება იყო და სკოლას გადაცემული ქონდა თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება დადებული იყო 2012 წლის 24 თებერვალს 10 წლის ვადით. საგულისხმოა, რომ პირი, რომელთანაც გაფორმებულია თხოვების ხელშეკრულება გარდაცვლილი იყო და მისი გარდაცვალებიდან არ იყო გასული 6 თვე, რომელიც საჭირო იყო იმისათვის, რომ მემკვიდრეობის წესით შეცვლილიყო შენობის მესაკუთრე და შესაბამისად თხოვების ხელშეკრულებაც. აღინიშნა, რომ სკოლის ამჟამინდელი დირექტორი შენობის გარდაცვლილი მესაკუთრის შვილი იყო (შენობის მემკვიდრეობით მიღების პოტენციური კანდიდატი), ამდენად საფრთხე იმისა, რომ ხელშეკრულება არ გაგრძელდებოდა, ნაკლებად მოსალოდნელი იყო.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ- ირინა აბულაძემ სკოლის დირექტორს სთხოვა, მემკვიდრეობის მიღებისთანავე ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისათვის წარმოედგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ პროგრამულ ნაწილში სკოლას გაეწია რეკომენდაცია შეფასების სისტემის განახლებასთან დაკავშირებით, რადგან ვიზიტისას წარმოდგენილი მოდელი იყო ძველი და ვეღარ პასუხობდა ეროვნული სასწავლო გეგმის თანამედროვე მოთხოვნებს. სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაცია და ექსპერტთა ვიზიტის დროსვე პედაგოგიური საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე მოხდა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება, რაც დასტურდებოდა პედსაბჭოს ოქმითა და დირექტორის ბრძანებით შეფასების წესში ცვლილების განხორციელების შესახებ.

სკოლას ასევე გაეწია რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალებების ანალიზთან დაკავშირებით, ექსპერტების მხრიდან მიეცათ რჩევა, ზოგადი ინფორმაციის შემცველი კომენტარების ნაცვლად, შეფასებები და განამავითარებელი კომენტარები ყოფილიყო ინდივიდუალური და

მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული. ვიზიტის პერიოდშივე, შესაბამისი წესების დაცვით, გამოსწორდა ხარვეზი შემაჯამებელი სამუშაოების აღდგენის ვადებთან დაკავშირებით. ასევე, სპორტის სახეობების ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განსაზღვრის შესახებ.

ირინა აბულაძე დაინტერესდა, თუ ვინ ასწავლიდა სპორტულ ცეკვებს, რაზეც სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ სპორტულ ცეკვებს ასწავლიდა სპორტის მასწავლებელი.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზი სკოლაში არ დაფიქსირებულა. სკოლაში, მართვის საინფორმაციო სისტემის მიხედვით ირიცხებოდა 69 მოსწავლე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განხორციელებას ემსახურებოდა 21 თანამშრომელი, რომელთა შორის იყო 20 პედაგოგი .

სკოლის დირექტორის განმარტებით, დამფუძნებლები თავად ეწეოდნენ სკოლის ტექნიკურ მომსახურებას.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 150 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჩირაღდანისთვის ავტორიზაციის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა ჩირაღდანს (ს/კ:220340183) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

5. ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტებმა ნელი ნასყიდაშვილმა და თინათინ ჩხაიძემ წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ვაჟა ფშაველას N 51-ში. შენობის მესაკუთრე იყო სსიპ ,,სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია", რომელთანაც სკოლას გაფორმებული ჰქონდა 15 წლიანი ხელშეკრულება.

ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას დაფიქსირდა არაერთი ხარვეზი სამივე სტანდარტთან მიმართებით.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ექსპერტმა განაცხადა, რომ რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო დაზუსტებული ეროვნული სასწავლო გეგმის მე-5 მუხლის ,,დ" პუნქტის მოთხოვნა მასწავლებლის მიერ შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება/შენახვის შესახებ, წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო არასრული, კერძოდ, არ ერთვოდა სტანდარტის ის შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა შემაჯამებელი დავალება, არ იყო წარმოდგენილი შეფასების სქემები და გასწორებული მოსწავლეთა დავალებები.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში შესაძლებელი იყო შემდეგი ტიპის გამოცდების ჩატარება: საშემოდგომო გამოცდა, ექსტერნატის გამოცდა, კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდა. არ იყო დაზუსტებული რომელ კლასებში და რომელ საგნებში ტარდებოდა გამოცდები, რაც შეუძლებელს ხდიდა ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 23² -ის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

დაწყებით საფეხურზე სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ქულებით არ ხდებოდა, თუმცა მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა ქულებით შეფასება ხდებოდა რვეულებში. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით სასკოლო სასწავლო გეგმით შეთავაზებული

საღვთო სჯულის სწავლების შეფასება ხდებოდა ჩათვლით, თუმცა მოსწავლეებს რვეულებში ეწერათ ქულები.

საბჭოს წევრმა გიორგი გახელაძემ დასვა შეკითხვა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა უპასუხა, რომ მოსწავლეთა გასაუბრებიდან დადგინდა შეფასების სისტემის ფორმარული ხასიათი. შეფასების სქემები კი იყო გამოკრული, მაგრამ მასში მხოლოდ ზოგადი ჩანაწერები იყო მოცემული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ ხარვეზზე რეაგირება უკვე დაწყებული ჰქონდათ. დაწყებითი განათლების საფეხურზე უკვე გამოსწორებული იყო შეფასების სისტემასთან დაკავშირებული ხარვეზი, ხოლო დანარჩენ კათედრებს დაევალათ ყოველკვირეულად ანგარიშის მომზადება და წარდგენა შეფასების სისტემის ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმოების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს ხარვეზები არ იყო ადვილად გამოსწორებადი და ეს იყო შრომატევადი პროცესი. საბჭომ მსჯელობის შედეგ მიმართა ცენტრს წინადადებით, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, დაწესებულებაში განხორციელებულიყო მონიტორინგი.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ყავდათ 55 მასწავლებელი და აქედან 15 იყო ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. დაწესებულებას ადრე ქონდა საკუთარი სქემა, თუმცა მოგვიანებით გადაწყვიტეს, მიემართათ მასწავლებელთა სახლისათვის.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა 4 შენობა-ნაგებობაში. ზოგიერთ შენობასა და კლასში დამონტაჟებული იყო პანდუსი. სკოლის ბიბლიოთეკა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტი განთავსებული იყო შენობის მეორე სართულზე, რომლამდე მისასვლელადაც გარემო არ იყო ადაპტირებული. სკოლაში არ იყო ადაპტირებული სველი წერტილი.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ შენობაში გათბობა ხდებოდა თბილისის საავიაციო ქარხნის მიერ დამზადებული ძველი ბუნებრივი გაზის გამათბობლებით და ზოგიერთი მათგანი იყო გახსნილ მდგომარეობაში. აღნიშნულმა საკითხმა გამოიწვია საბჭოს წევრთა დაინტერესება. დაწესებულების დირექტორმა მამუკა თედიაშვილმა დაადასტურა, რომ გამათბობლები მოძველებული იყო და ექვემდებარებოდა შეცვლას. ამის თაობაზე მათ ზეპირსიტყვიერი ინფორმაცია ქონდათ მიღებული შესაბამისი უწყების წარმომადგენლების მხრიდან, რომლებიც თავადვე მიიყვანეს ვიზიტის პერიოდში.

საბჭოს წევრმა გიორგი გახელაძემ საბჭოს წინაშე დააყენა საკითხის განხილვის მომდევნო სხდომაზე გადადების წინადადება.

საბჭოს თავმჯდომარემ ირინა აბულაძემ მიმართა სკოლის დირექტორს, ჰქონდა თუ არა სკოლას შესაძლებლობა მორიგი საბჭოს სხდომამდე მოეგვარებინა გაზის გამათბობლების პრობლემა და წარმოედგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. დირექტორმა გამოთქვა მზადყოფნა და საბჭომ ერთხმად მიიღო ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადების გადაწყვეტილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 16:05 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე